

პრემიანთს უმსხვილნი

თესვა! თესვა! თესვა!



— ვაიი... მასწავლებელმა მითხრა ის ეგ იმ კლასში დავტოვებო...
 — მერე მაგაზე სტირინი?! ნეტავ მეც ჩემს კლასში დავტოვებინე!

ვის სჯეროდა თოვლის
 სიმტკიცე და ძალა.
 ხედავთ—მზემ რომ დახცხო
 როგორ შეიცვალა?!
 გაზაფხული მოიღოს,
 ყველამ ხელი გუთანს!
 შეხეთ სული ხდება
 წამთარს—სულთამხუთავს!

საბჭო—რას აკეთებს,
 ნახეთ იქნებ სხინავს.
 მიხი გემა წამთარს
 ხომ არ გაუწინავს!
 გააღვიძეთ ჩქარა,
 მუჯღღუღუნი მისცხეთ,—
 რომ ამდენი ძიჯი
 გადაეცვს სიცხეთ!
 მისცხეთ საბჭოს წამარსებს
 გლეხკომებს და შრომს.
 გაზაფხულდა, ყველას
 დროა ძილი ეუოს!
 ძმად—კომუნისტნიშო,
 რას აუფენებ საქმეს?
 ხომ არ ელი მითხარ
 მაგარ-მაგარ სახრეს!
 დამწადე, თხელი,
 ჩქარა ხელი გუთანს,
 რომ აგობო, დახცხო,
 კულაკს სულთამხუთავს.
 დროზე გაიტანე
 თხელეული ხნულში.
 შენ რომ გძინავს—კულაკს
 უბარიან გულში.
 სტრონნიშო, რა დროს
 ძილია და ჯდომია.
 მიეშველე ხოფელს,
 გააჩადე შრომა!
 აგრო-ცოლნა გლეხებს—
 ჩემი სიტყვა გენმასი...
 სათავეში უნდა
 შენ ჩაუდგე თესვას!
 კომპარტუნიშის ცეცხლი—
 ახალგაზრდურ გულში—
 დღეს გვეირღება სწორედ
 ყანაში და ხნულში,
 დღეს სჭირდება მოვლა
 აწვირებულ მორევს,
 რომ დაუფრთხეს ძილი,
 წარმაც-მუქათხორებს!
 ვინც გაიქცეს ფიცხელ
 შრომასა და ჯაფას—
 ნუ ასცდება იგი
 ხამარცხვინო დაფას!
 სირცხვილია ენლა
 ხალხში უქმად ჯდომია...
 თესვა! თესვა! თესვა!
 შრომა! შრომა! შრომა! **ფოლტო**

საზანოს საგჭოს უოფილ თავგჯღოგარის

თორთლამეს

ჩემს შალიკოს სიცოცხლე! შენს თავს ბოლო დროს რომ ამბები დატრიალდა — ნაწყენი იქნები, მარა გულს ნუ გაიტხებ, ძველებურად, ჩვენებურად გაუმაგრდი გასაჭირს.

შომ იცი, დიდი ხალხის და მოღვაწეების ბედი მუდამ ასეთია... მოიგონე ილია ჭავჭავაძისა და აკი ციხეში ატუცივის თავი... მერე ისიც რაღაც 5.000 მანეთისათვის...

ეგ კი არა და — რა ეშმაკათ მომაგონდა, ჩვენი სოფლის სახელის წარმოშობა ვამოვიკვლიე... და იმდენი ფიქრის შემდეგ დავასკენი, რომ სანაწარმო — წარმომდგარია სიტყვა —

საზანისაბან. საზანს არა უჭირს რა გემრიელი თევზია — თუ ხვირულსაც ზედ დააყოლებ... შენც აკი გემრიელად შეეცქიეოდი მსუქან - მსუქან ნაჭრებს... არ გეგონოს მე ვეხებოდე გრიგოლ დევიძისა და ბრეგვაძისაგან აღბეულ ქრთამებს, მით უმეტეს — შენ ეს ფული ჯიბეში არ ჩავიდვია და პირდაპირ მაგიდის უფრაში ჩაუძახე...

მერე ეს ფული ხომ იმიტომ აიღე, რომ არ გინდოდა მოქალაქეთა გამსახლში მოთავსება... და საერთოდ შენ გამსახლების არსებობის წინააღმდეგი იყავ.


პირდაპირ გულთმისანი ყოფილ-

ხარ... კაცო, საიდან იცოდი, რომ ბოლოს გამსახლი არ ავცდებოდა?!

საზანოც სწორედ საზანივით გაგისხლტა ხელიდან და წალმა შეგვიტრიალდა საქმი... რას იზამ... ასეთიო ძმად ყველა დიდი „მოღვაწეების“ ბედი. ყველაფერი ეს კი იმის ბრალია, ერთი ქცევა მიწის გულისათვის — რომ იცი თუმანი ფული ნელთ ჩაგიღე ვიბეში...

კიდევ კარგი, მე მაინც გადაურჩი გამსახლს. ენლა შენც სუ, მეც სსუუ... თორემ პროკურორი დევდარიანი გაგვიგებს და მერე შაბაზ ჩვენ საქმეს...
 შენი უჩინ-მარინი.

ტ რ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ს ე ო ლ ო დ ი ნ უ ბ ი



ერა აუფარება თვალზე, რომ ჩვენ ვეღარ გვხვდავს

ზუბლიდის მაზრაში მიერთვას

ნაშიჩროვის სოფლის საბჭოს

ზრასტი, წნაკომ - გამარჯობა! როგორ მუშაობთ, რას აკეთებთ, როგორ მიგყავთ სოფლის საქმეები! თქვენმა ამბავმა ქალაქში მოაღწია. კოლექტივისაციის ფართო მოძრაობას არც თქვენ ჩამორჩენილხართ და მეურნეობის, თუ „აღებ-მიცემობის“ ყოველი დარგი საერთო საქმედ გადაგიქცევიათ.

აწყობთ თურმე მჭირებთა, მეცენახეთა, მექათმეთა და სხვათა და სხვათა არტილებს. თქვენ იქამდისაც კი მისულხართ, რომ დაგიაჩნებიათ შვიან-შე-ჩარჩ-წურბელათა კოლექტივი, რომელიც საერთო თანხით და ძალღონით შესდგომია გლეხობის ყველფას... ამ საქმეს სათავეში ჩასდგომია საბჭოს წევრი პეტრე ჯაბერაძე, რომელსაც გლეხობის ყველფის საქმის ასაღორძინებლად გაუსესხებია 400 მანეთი. თუმანი ორმანეთად თვეში.

ფრიად სასიამოვნოა, რომ კოლექტივში მოქცეულან ასე თუ ისე „მოწინავე გლეხები“. მახაზი პაპავა შეიყვანა, თვითონ 200-300 მანეთობით ასესხებს ფულს და აწაიარად, მამა-შვილი ერთი-მეორესთან შეთანხმებით ემსახურებთან „საზოგადო“ საქმეს.

კენტრიან უტუნახბე შონია უფრო ჭკვიანი გამოიდა. ის ჩაის კოლექტივშიც შეძერა და მეცახეთა კოლექტივშიც აუხარაკებს საქმეებს. მისი

საყველფ-საბრუნავი თანხა 300-400 მან. უდრის.

რაც შეეხება აღეჭი ლავილაფას, მას თავის შვილის დახმარებით (სოფელ ომარტის შვიდწლიანი მასწავლებელია) გასასესხებელი აქვს 500 მანეთამდე.

მეცახე-ჩარჩ-წურბელათა კოლექტივს როგორ გამოჩნებოდა ანტო პა-

პავა, გზოცილილი ვაჭარი, რომელსაც მფარველობს სოფლის საბჭოს პრეზიდენტის მდინად წამოსკუბებული მისივე შვილი. ორივე ერთად ატრიალებენ თანხებს და თბილად ცურავენ ფულში, როგორც ყველი ლომში.

ალარაფერს ვიტყვი ქუჭუ ცქვიტიაზე და სხვა ძმა-ბიჭებზე, რომელნიც შეიქცევიან გლეხობის დოვლათს...

მე ეს ბაჩათი მიტომ მოგწერეთ, რომ მიხარია თქვენი თაოსნობა და უნარია... კაცო, როდის მოახერხებთ ამოდენი საქმის „გაკეთება“, ხალხის ასე „დაარაზმეა“ კოლექტივებში... მაღალდც, მართლა მაღალდც! მედაჩემმა ღმერთმა! მაღლობის ღირსია განსაკუთრებით საბჭოს წევრი პეტრე ჯაბერაძე, რომელიც ასე თავდადებულად „მოღვაწეობს“ და თავის პირად თანხებსაც კი არ ზოგავს თურმე... საერთოდ სჩანს, რომ მთელი საბჭო გულმოდგინედ და ფხიზლად დგას მშრომელი გლეხობის*) სადარაჯოზე...

„მოლბი“ სამაზრო აღმასკომის წინაშე შესაძღვომლობს — ნაფიჩხოვის საბჭოს დეაწლის ღირსეულად დასაჯილდოებლად!

უღრმესი პატივისცემით

ზოლბიანი კოჩი.

*) ყველფის.

სოფელ გაზაფილში
 ექიმბაზ — მინა ბარტიას ქვრივს ფთხვთ დარიგებას შემდეგზე: უიმედო სიყვარულის ნიდაგზე გადავწყვიტე თავი მოვიკლა. ამ შუა ზამთარში მტ.იარში გადავარდნა მეძნელდება, — გავიყინები, სხვა საშაულება ვერ მოვხაზე. გავიგე ამ დღეებში რაღაც „წამალი“ მივიციათ პარტიანი ბარტიას ტომის, რომელსაც დაღვივის უმაღ „განუტევებია სული“. ერთი დაღვივა თქვენი წამალი მეც გამომიგზავნეთ. თუ გასტრა, შემდეგ ერთიორად გადავიხლით.
 მკვდარული პატივისცემით:
 ვიზიკო კახაპაძე.

შეპიტხვა ზოლტიანს

ამს, მოგეხსენებათ, რომ მე ვმსახურობდი ჭიკაძის რაი-მილიციაში საქმეთა მმართველად. მე ვამბობ მშსსს უსრ.ო.ბ.ლი იმიტომ, რომ დღეს აქ აღარ ვმსახურებ—მომხსენეს უმიზეზოთ სამსახურიდან და, წარმოიდგინეთ, პასუხის გეზავიც კი მიმცეს.

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ დღეს ჩვენს მილიციაში თავი მოუყრა ისეთ ვაჟბატონებს, რომლებიც ხელს უშლიან კაცს საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის დროს.

ჩემამდე მილიციის საქმის მმართველად იყო ვინმე ბენია ბუცხრიკიძე, რომელმაც სულ მოკლე ხანში შესძლო 600 მანეთის გაფლანგვა და მიმალვა. მე შემოვიქამე მხოლოდ 227 მანეთი და 5 კაპიკო, რაც ჩემ გულგრილობით და უუნარობით არ აიხსნება, რადგან მთელ ჩემ მუშაობის პერიოდში ამაზე მეტი ფული არ შემოსულა მილიციაში.

გთხოვთ შემატყობინოთ ჰქონდა თუ არა უფლება ადგილობრივ ხელისუფლებას ნაადრევად დაეპატიმრებოდა ჩემი თავი.

ჭიკაძის რაი-მილიციის ყოფილი საქმეთა მმართველი ირაკლი დოლაძემიძე.

პასუხი: თქვენს წერილზე პასუხის გაცემა მივანდეთ აპრის 15-ს. მინიჭებთ, რომელმაც საკუთარ თავთან სამხანათიან თათბირს შემდეგ დაადგინა გიპასუხოთ — მისი საკუთარი ლექსით: რაც მოგივა დავითათ — ყვილა შენი თავითათ.

ხანაგალა


ესაც „გმირია“



გთხოვთ იცნობდეთ—მალაზში ინარჩმე ვანოს. მას უნდა, რომ თავისი ყველაფერი გაიყვანოს. კომკავშირში შემტვრალა, ატეხილა დავაზე. ყველას ცემას უპირებს ჩვენი დროის მკვლავად. თავი გმირი გონია, მხარზე თოფი ჰქონია. მას მფარველობს სოფელში ვინც ქონებით დიდია. ვინც სუფრაზე პატივობს, მისი არის ქონაგო. კომკავშირელს უტყირეთ— ვერ აივსო სტომაქი კომკავშირელს შეხედეთ პირი აოტალახა. კისა კილაქის ქალი სასკედილოდ გაღახა. მას მიწაც აქვს სახნავი საქონელიც მრავალი. აქვს ოჯახი მაგარი, ბლომად შემოსავალიც გადასახადს არ იხდის, გადამალა ქონება. ტარიელი ბიჭია, სოფელს ეპატრონება. გოგითქმე—კანდელას ააცილა ბეგარა. მამუკაყინწას უტყირეთ არა გაეგება რა! რაიკომო, შენ მაინც ჩაერიე შუაზე და ჭალდელი მკლავაძე მოიყვანე ჭკუაზე. ეფერება კულაკებს მათთან ძმობას ამირობს, შეხეთ კომკავშირელი დარბებზე ნადირობს.

— ხომ არ გინდა დაბაჯარი- შო რომ ამდენს ბელაბარაკებში და ძველმანებს მაინც არ აბროვებ?

მშვიდობით გადაარჩენ



- რიგორ, თავს დაგახსენებ? - ვინა, მსაჯუმი ვაპავა- რია?! - გეშ, სარევივიო კომი- სია?!!

ქვემოლ ჩამოთვლილ

ვაჭრებს და კულაკებს: ავქე- ნტი ნინიძეს, ვანო ვასაძეს, შავსიელ ბიჭტორ ვასაძეს, სიო ქორიძეს, მღვდლებს ივანე და ერმალო ფაველიძეებს ვაცნო- ბებ, რომ მასზეგ ნაშუალამებს გამოცხადდენ კოოპერატივში ფართლის და შაქრის მისაღე- ბად. მასწავლებელ შ. დოლიძეს, ნ. ჩხაიძეს და წყვამარაძეს კი, ათათ მეტრ შალეულს გარდა, რომელიც მათ ფარულად მი- ვეცო კიდევ მივცემ ათ-ათ მეტრს მიტკალს. დასახელებულ მა პირებმა ამის შესახებ კრი- ტი არსად არ უნდა დაქრან. ასკანის კოოპერატივის ნოქარი ვალიკო გმირამ.

ჩრევა-ღარიგება

კულაკები ბევრგან აშკარად ებრძვიან კოლექტივიზაციას, უნდათ მისი შეფერხება. ამ ბრძოლაში ისინი უმეტესად მარცხდებიან და მიზანს ვერ აღ წევენ. ამიტომ ყველა კულაკს ვურჩევთ—კოლექტივების წი- ნაღმდებ ბრძოლაზე ხელი აი- ღონ, როგორმე მოახერხონ კო- ლექტივში შეპარვა და ამ გზით მათ დაშლას. ასე მოვიქცით ჩვენ კორბოულის თემში. იმე- დი გვაქვს „სტალინის სახელო- ბის“ კოლექტივს მოკლე ხანში დავშლით. კულაკები დომენტი ტაბაბა- ძე და ტარას მახარაშვი- ლი.



ყარაღანი დაახლოვან და 5000 მანეთი გაიშალა? - ახალი- დი შა დაახლოვანაა, ვინ დავ პარტია რიმ მშვიდ- ბით გაყავრით!

მგლები სოფელში

ხეთის—მგლები დავცენ მართლა გაუმძღარი. ნადირების სისარბეს აღარა აქვს საზღვარი. თარეშობენ სოფელში გაღებლი კბილებით... მოგეშველეთ, ვინა ხართ, შიშისაგან ვილევით. ერთი მეგელი - ვაქარი დულავან კოლინი. მას კულაკი ბუშკია მოკავშირედ ყოლია. ორნი ერთად უტევენ, რაში შეუდგნით. კოლექტივიზაცია მოსდებიათ ვენით, გლებობას აწინებენ ათასნაირ კორებით, ხან ყანწებით იბრძვიან, ხან სავეტ ტექორებით... კმარა მათი თარეში, თავს გადიან ქალიან... მოგვაშორე თუვიდან, საბჭოე შენი ვალია, ისარი.

თავგულის წინააღმდეგ

მივანენ უებარ საშუალებას. ზედმეტი ქალღლის ჭამა თავს თურმე აცივებს და შემდეგ კლავს, რადგან სამკითხველოში აუარებელი თავი გაჩნდა შემ- დგე ზომას მივმართე. ქონ-სამ- კითხველოს ერთად ერთ კარს მაგარი კლიტე დავადე და თა- გეები შიგ მოვამწყვედი. ანა- ირად თავგებს ძალაუფლებურად მოუხდებთ გაანადგურონ მთე- ლი წიგნები და ქალღლები, რასაც ჩემის ვარაუდით თან გადაწყვეტიან. რადგან სამკით- ხველოში უურნალ - გაზეთები ბევრი დავტოვე, მის ჭამას ორი- სამი თვე მაინც დასჭირდება. ამიტომ სოფელ უდეს მცხოვ- რებლებს ვთხოვ თავს ნუ შე- წუხებენ სამკითხველოში სია- რულით. უღმის მოხ-სამკითხველოს გამგე. (თავგების უურისძიების შიშით გვარს არ ვაცხადებთ).

სოფ. გაზანდარაში

ვაწყობ კულაკების და ჩარჩ- ვაპრების საავტაციო კურსებს კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. აქვე ვაწარმოებ გაცხოველე- ულ მზადებას საგაზაფხულო თე- სვის კამპანიის ჩასაშლელად. ურსებზე მეცადინეობის შემდეგ სადამოობით იმართება ძველე- ბური დაპურმარჩილება ღვი- ნით, არყით და ცვრიან მწვე- დებით. კურსებზე მიიღებიან შეუგნებელი საშუალო და და- რიბი გლებებიც. კურსების გამგე ვაქარ-ჩარჩ- კულაკი ქ. კვარაცხელია.

პიტხვა-პასუხი

1. — არსებობს მკვინადა ეშმაკი თუ არა? — არსებობს თუთხმეტი ეშმაკი დაბა წადვერში (გორის ოლქი), რომლებმაც მოინდომეს კოლექტივში შეტერობა, მაგრამ როგორც იტ- ყობინებიან, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაუგო მათ ეშმაკობა, ჩამოართვა ქონება და გამოაძევა სოფლიდან.

2. — შუშქლია თუ არა ლაპარაკი რადიოს? — დანადვილებით ვერ გეტყვით. ამობენ, ვითომ, სოფელ ზე- და-სემიონეთში (ქუთ. ოლქი) რადიომ სცადა ლაპარაკი და ორიოდუ სიტყვა კიდევ სთქვა, მაგრამ ეს აშბავი, ჯერჯერობით დადასტურე- ბული არ არს.

3. — რა დღეები ითვლება ზოგინათი მოსამსახურის დასასვენებელ დღეებათ? — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევა, შაბათი და კვირა. მაგალითად ამ დღეებში ისვენებს სოფ. ცაიშის ფოსტის დამტარებელი—პილა მანთარია.

4. — აღნიშნულ დღეებში გაზეთებს არიგებენ რაიონის მიკიტნები—საპაპროზე ქალღლად თითო ცალს ორშაბათად. ქანთარას „განუ- წყვეტელ“ საწარმოო კვირას ივენებს აგრეთვე სოფე ლბუკიანის სა- მკითხველოს გამგე.

ვირთაგეები ეპოში

ახალციხის ეპოში ვაქარი ზის ცნობილი. გლეხის მოტყუებაში ნაცად-გამოწრობილი. ქაზაგელი ბენია, განთქმულია ობრობით, ბიჭუა სახლი ივსო მოხერხებულ ნოქრობით. გვერდს უშემეგებს ხანიმა, ერთმანეთსა მჭარავენ, რასაც მოახელებენ ძმურად მოიპარავენ, ხასილაგვილს სავაკრო თავის დახლი გონია, ეპოს წინ კი რიგი დვას, ხელჩართული ომია, ზოგი ფართალს კიოხულობს, ზოგს სჭირდება შაქარი. მაგრამ ვიკრი მოგვამათ, კაზაგელი მშათ არი, ბენოსა და ხანიმას სახლში გაუწილიათ. გლებები და მუშები მათ ფეხებზე ჰკილიათ. შაქრით ვაქრობს ხანიმა, ეჯობრება ბენოსა. მეტე ნავაქრ თანხაზე გაიღებენ გემოსა... ამა პასუხს ვინ მოსთხოვს, ან ვინ დასჯის ამაზე? რევიზიაც არა სჩანს, რომ მოახწროს ჭამაზე. ჭამეთ ეპოს „გმირებო“, გაატარეთ დროება, თუ ამ ქიფს ბოლოში გამსახლი არ მოვინა! ჭამეთ, ეპოს გაშვებენ, ჯერ არ გაუღვიძიათ, მაგრამ ბოლოს მოგცხებენ, არ შეგჩრებთ ბიძა! საღბისი.

გართულ ხათაგალა



— ხომ არ გინდა დაბაჯარი- შო, რომ ეს ხარახარა და ძველ- მანები დაბიბროვებია!

დ ა მ ო ყ ვ რ დ ე ნ

ჰაი, ჰაი, რომ არ ვარგა ცალკე, პატარა გლეხური მეურნეობა. აბა რა უნდა გააკეთო ერთი კუდალა ხარით, ერთი მტკაველი ვენახით! როგორ უნდა დახვდეთ მტერსა და მოყვარეს?! ქვევრზე სულ ერთი ჩაფი ღვინო არც კი გიდგას და მოდი შენ—მამა-პაპური სუფრა გაშალე!.. კანჩინო, ვერ გაშლი, ვერც კანწს დაატრიალებს თამადა, შერცხვები კაცი... თავი მოგვიტრიალე!

კოლექტივში კი პურიც, ღვინოც, საქონელიც—რამდენიც გინდა სულა და გულო!.. შენ ოღონდ მადა გქონდეს—სვი და ქაში რამდენიც გინდა!.. ქოდალოს კოლექტივის წევრს თვალში მოუვიდა კაჭრეთის კოლექტივის წევრი ლამაზი გოგონა... გულმა ბუდიდან ამოფრენა დააპირა, აღარ მოისვენა, არ დადგა სანამ თავისი არ გაიტანა... და ერთ მშვენიერ დღეს ქოდალოს კოლექტივში დიდი ფუსფუსი და მზადება გაჩაღდა.

სახელდახელოდ დააკრეს 20 თონე პური, ქვევრიდან უკეთესი ღვინოები ამოიღეს, დაკლეს ძროხები, ცხვრები, ხოლო ქათმებს მუსრი ვაგვლეს და სამი დატვირთული ურმით სასიძო ბიჭი გაისტუმრეს კაჭრეთისაკენ...

თქვენ მაყრებისათვის უნდა გეცქირათ. ცხენების ჭიხვინა არღვევდა პაერს და მხედრების სიმღერის ხმა სოფლის თავსა და ბოლოს ედებოდა...

— ძლივს კიდევ არ გვეღირსა ძველებური ქორწილის ნახვა!.. სწორად მუჯანბატონის ქორწილსა გავა შენი ქირაზე! გახსოვს—ამ ორობოცი წლის წინ, რომ ანდრონიკაშვილების პალი წაიყვანა!—ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ყუდროზე ჩამწყვრივებული თეთრწყვერა მოხუცები...

არ ეძინა სასიამაორო — კოლექტივსაც. მოყვრების მოლოდინში გრძელი სუფრა გაიშალა, რომელზეც ერეკლე მეფისეურ ხონჩებით ეყარა დეკულისა, ცხვრის და ინდოურების მსუქანი შეყვარ-მოხარული ნაჭრება...

სოფლის ბოლოს ზურნას ხმა გაისმა... მასპინძლებმაც მაშინვე ზურნით უბასუხეს და პატარძლის მაყრებმა დამბაჩები აახმაურეს. გაჩაღდა ნადიმი. ცხადია, თამადად კოლექტივის მეთაური უნდა ყოფილაყო... ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოს უმაღლე დაიღია კოლექტივიზაციის სადღეგრძელო, შემდეგ კი დიდი

ყანწებით საგაზაფხულო თესვის კამპანიაც აღდგარქელეს...

— ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ კოლექტივიზაციის უპირატესობას ვერ ხედავდეს!—მჭექარე ხმით გასძახოდა თამადა... სიმღერა, ხმა, ქეიფი რამდენიმე დღე-ღამეს გაგრძელდა... პატარძლის წაყვანის დრო დადგა... მაყრიონი აიშალა...

— ტრაქტორი! ჩქარა ტრაქტორი! გაისმა მეთაურის ხმა.—კოლექტივის ეზოში რკინის ხარმა დაიფუგუნა... მორთული ნეფე-პატარძალი ტრაქტორზე დასვეს და სასიძო—კოლექტივის გზას გაუდგა... მეფის მაყრებს—პატარძლის მაყრები მიემატენენ... მაყრების სიმღერის ხმა და ტრაქტორის გუფუნე აყრუებდნენ არე-მარეს...

მოგვიკვდეს ბიჭი თუ კაჭრეთელ მამა-პინძლებს ქოდალოელები ჩამოტრყენს!

— აბა ღვინო, წითელი, თეთრი! ის ნიშა ფური დაჰკალით! ცხვრის მწვადები აავეთ! დედლები იყოს!.. იძახოდა მეთაური... მართლაც დიდი, ძალიან დიდი ნადიმი გაიშარა. ქეიფმა აქაც რამდენიმე დღე-ღამეს გასტანა... კოლექტიველი თამადა — გულბათი ქვევრამეს არ ჩამორჩებოდა... თუმცა მისი სადღეგრძელოები შეეხებოდა კოლექტივიზაციას და საგაზაფხულო თესვის კამპანიას...

— ჩვენი კოლექტივი ძლიერია...

— არა ჩვენი სჯობია!

— ჩვენ მეტს დაეთესავთ წელს!— არა, ჩვენ ვერ დავეწვევით! შეღვინა-ანებული მაყრები შეებნენ ერთმანეთს!..

ნეფე რომ არ ჩარეულიყო, სისხლიც კი დაიღვრებოდა!

მაყრები ბოლოს ძლივს აიშალნენ... ქორწილი გათავდა... დანათესავებული კოლექტივები სიყვარულით გადაეხვიენ და გამოეთხოვენ ერთმანეთს...

კეთილი იყოს, კეთილი—თქვენს და მოყვრება!

აგრონომის აგუნაში



— თუ ძმა ხარ, კიბეს მოვიტან და მხრებზე შეგადგები.
— რას ამბობ, ხომ არ გადარეულხარ!
— მართალს გეუბნები: სამი დღეა აგრონომს ვეძებ, ვერხად მიპოვია, იქნებ ესე მაინც დავინახო სადმე!

ნიახური.

მწარე სინამდვილე

— ჩვენს მაზრაში სამაგალითოდ ტარდება აგრომინიმუმი.
— ჩვენს მაზრაში უფრო ნამდვილია აგრომინიმუმი. მთელ მაზრაში ერთად-ერთი აგრონომი გეყავს!

სიყვარულის ბრალის

— როგორ არ გრცხვინია, ხუთწლიან გეგმის განხორციელებას რომ აკოინურებ?
— როგორ თუ არ გრცხვინიან? მე ისე მომწონს და მიყვარს ის, რომ ათ წელსაც არ მინდა შეველიო!

ანგარიშში მოსაუბლა

— საქმე მაქვს შენთან, მამაო: შენ კარგათ ერკვევი ზეციურ საქმეებში და მინდა დამარტოვო რამე: ჩემს შვილს ამ საში თვის წინათ ბიჭი ეყოლა, კომუნისტურად უკვე მონათლეს, მაგრამ მე, როგორც ძველი ადათ-ჩვეულებების მიმდევარ კაცს, მსურს მისი ქრისტიანულად მონათვლა.

— მერე, შე მამაცხოვებლო, მაგას რა ბევრი ლაი-ლაი უნდა, მოიყვა ბავში და დღესვე მოგინათლავ.

— არა ჩემო იაკინთე, არც ისე ადვილი საქმეა ბავშის ქრისტიანულად მონათვლა, როდესაც მას მამა კომუნისტი ჰყავს...

— მართალია, ძნელი საქმეა... წაილღლოოა ფერწასულმა მამაო.

— იქნებ როგორმე ფართულად მოენათლოთ?

— ფართული?! რატომ, შეიძლება... მაგრამ ხომ იცი რა სახიფათოა ეგ საქმე?!

— კი ჩემო იაკინთე, მაგრამ, არ შეიძლება როგორმე ბავში უბაზანოთ და უმბრონოთ მოენათლოთ?!


— რამ გავასულელა ივანე, ვის გაუგონია ბავშის უმბრონოთ მონათვლა?!

— როგორ არა მე გავგონილი მაქვს ჩვენს მამა-პაპისაგან, რომ უწინ ისეთ სოფლებში, სადაც მღვდელი არ იყო, ბავშვებს შელოცვით ქაულებით ნათლავდნენ, — მონათლავ ბავშის მამა, პაპა, ან მახლობელი ნათესავი მივიღოდა სოფლის ყველაზე უხუცეს და ღვთის მორწმუნე კაცთან. ეს უკანასკნელი გადასწერდა მას სამჯერ პირჯვარს და შეულოცავდა ქულს: შემდეგ ამ ქულს დასურავდნენ ბავშს და ბავში მონათლულია ითვლებოდა.

— ეხლა ხომ შეიძლება, მამაო იაკინთო, ბავშის ასეთი წესით მონათვლა?!

— შეიძლება კი არა პირდაპირ ჩინებულია, როგორ არ შეიძლება, იოლი საქმეა და არც ისე ძალიან ძვირი დაგიჯდება.

„მ. მ. ბ. ი.“



აი ახე აქვს წარმოდგენილი კულას ტრაქტორი

— დიდი მადლობელი მამაო... ნახვამდე!

— მოიცა, როგორ თუ ნახვამდე, ბარემ მოდი მოვითავით საქმე.

— თმა გრძელი და ქკუა თხელია, რომ იტყვიან— სწორედ შენზეა გამოჭრილი! შენ ხუთი მანეთი რაში უნდა მოგცე? სოფელში ჩემზე ხნიერი არავინ არის, და არც ნაკლები მორწმუნე ვახლავარ — მე თვითონ ვეღარ მოენათლავ ბავშს?!

მამაო იაკინთე, მუხლებში ჩაიკეცა.

— შენი ლოცვა არ ვასჭირს, ივანე, — წაილღლოდა მან.

— ვასჭირს და მეტსაც იზამს! ხუთი მანეთით?! — ვერ მოგართევს ბადრიჯანი! ეხლა, ჩემო ძამივე ხუთ-ხუთ მანეთით კი არა, ათ-ათ შაურადაც სანამოენებით მოენათლავდი ამ წესით ბავშვებს, მაგრამ რას იზამ, რომ სოფელი გამოფხიზლდა, — ჩვენს მახეში აღარ ებმება. მიახლა ივანე და გაიხუთა კარები.


კინკა.

ხახამი—„პიონერი“

სურამელი ხახამა—
უშტატოდ, რომ არ დარჩეს,
სხვა ხელობაჲ ჰკიდებს ხელს.
როგორს?—ამას არ არჩევს.

პიონერთ კოლექტივი
დაარსა მან აქა...
(აქაურ ხელმძღვანელებს
ცხვირზე აზით ეს ლაქა!)

პიონერებს ქუჩებში—
წითელ დროშით მიუძღვის...
(„გასაბჭოებულ“ ხახამს —
„შოლტი“ ამ ლექსს მიუძღვის!)



ზის ხახამი და ფიქრობს:
— ვარ მე პიონერიო,
თორაში ვლოცულ-ბ, და
ქუჩებში კი ვმღეროო...

ნეტა როს-ლა მოვესწრა—
გავხდე კომკომოლოო...
ან როს-ლა გავიარო
მე პარტიის სკოლაო!

მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე
არადროს...—ნათქვამია...
უნდა დროს „შეხორცო“
ასე ჩემო ძამია!..

ამბა!

კოლექტივიზი როგორ უნდა იყოს...



— მე მსროლელთა წრეს მოვწყობდი!



— მე მთელ კოლექტივს მუქთად დავმარხავდი!

ჩვენნი ფოსტა

ჩანჩუკას — თქვენი ლექსი ასე თავდება:

მუავეთ, მწარეთ, მწიფეთ—მკვახეთ
 გავლექსე სულ, რაც აქ ნახეთ,
 თუ ლექსა არ იოვეწონით
 შიგ გოდორში ჩაუძახეთ.
 ძალიან გვენანებოდა, მაგრამ ხათრი
 ვერ გავიტებეთ და ისე მოვიძეციო,
 როგორც გჯობოვდით.

იამანს — თქვენი ლექსი ჩინებულათ არის დაწერილი: დიდებულათ იწყება და საუცხოვოთ თავდება, მაგრამ ვერ დაგებულადეთ, რადგან უკვე დაბეჭდილთა ვაჟა ფშაველას რჩეულ ლექსების კრებულში.

პარმინ მშველიძის — თქვენ გეწერთ: „თუ ჩემი მოთხოვნა სუსტია და არ დაიბეჭდება — პირადათ მაც-“

განცხადება
საილუმოთ
 ყველა ჩემს მეგობრებს, ძმა-ბიჭებს, ნათესავებს და ნაცნობებს ვთხოვ გამოცხადდნენ დღეს ღამის 11-საათზე ჩემს ბინაზე ფართლის მისაღებათ, რომელიც ტფილისიდან მივიღე. მალაროს-კარის კოლომერატივის ნოქარი **იხანე თურაბაძე**.

ნობეთ, „ფოლტში“ ნუ შემარცხვენთ“—ო.

სანამ ლიქსკოლას დაამთავრებთ დაანებეთ წერას თავი. მოთხოვნიდან გერაფერი გავიგეთ. წერილი მოთხოვნის უფარგისობაზე, როგორც თქვენა გეთხოვდით, გამოგიგზავნეთ პირადათ.

სილივისტროს — თქვენ გეწერთ: „ჩვენმა ფოფოდამ დაანება თავი დვდელს და წითელ სხადილოს გამგეს გამყვა ცოლად“—ო.

რად გიკვირს ეს ამბავი? კაი ქამან და სმას დაჩვეული ქალი, ცხადია, სასადილოს გამგეს შეჩვეულა!

